მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 3 **1883—1893** **15 თებერვალს.**

ფუტკრების დედო ⁂ თ. ი. გ. ჭავჭავაძე, გაზეთ «ივერიის» რედაქტორ-გამომცემელი.

(დასასრული *).

როდესაც ქალაქ მცხეთაში მირიან მეფე მთელი თავის ხალხით მოინათლა, და გორის წვეროებზედ დიდი აყუდებული ორმუზდის და სხვა კერპები დააგორეს და დამტვრიეს; როდესაც კიევში ქრისტიანობის აღიარების შემდეგ დიდი კერპი პერუნი მდინარე დნეპრში ჩააგდეს, ხალხში მრავალნი პირნი მაინც კიდევ შიშით ძრწოდენ და დიდ უბედურებას მოელოდენ კერპთაგან ამისთანა მათი შეურაცხებისათვის. ასეთი გრძნობა და შეხედულება ხალხში ყოველთვის ყოფილა, არის და იქნება. მრავალნი პირნი ხალხისთვის სწორედ სათაყვანო კერპებად გამხდარან, თუმცა ამ პირთ იმოდენი სარგებლობა მოაქვსთ მათ გამაღმერთებელთათვის, რამდენი სარგებლობაც მოქონდა ქართველთათვის მცხეთის გორაკების წვეროებზედ აყუდებულ კერპებს. მაგრამ ზოგიერთები რაღაცა მანქანებით გამოუკელეველნი, შეუტყობელნი რჩებიან და ზოგიერთებისათვის ნიადაგ სათაყვანო კერპებად გამხდარან... უკაცრავად, ჩვენს საგანს გარდავსცდით. ი. ჭავჭავაძეზე და მის ორგანზე დავპირდით მკითხველებს სიტყვას. ვასრულებთ კიდეც.

ვინ იტყვის, რომ ი. ჭ—ძეს და მის «ივერია»-ს სარგებლობა არ მოეტანოს ჩვენი ხალხისა და მხარისათვის? ვინ იტყვის, რომ მისი დამუშავებული თაფლით, ცოტაც არის, არავის ესარგებლოს? მაგრამ კარ-

*) იხ. „მწყემსი“-ს № 2.

გად რომ გამოიკელევეთ ილია ჭავჭავაძის ნიჭს, სწავლას, მის მდგომარეობას, შეძლებას, მის ბრწყინვალებას, შემდეგ თვალს გადაავლებთ მის სკას, მის ორგანოს «ივერია»-ს, დღიდგან მისი დაარსებისა, მაშინ დარწმუნდებით, რომ ის სარგებლობა, ის ნაყოფი არ მოუტანია თ. ი. ჭავჭავაძეს და მის სკას, რასაც ყოველი ქართველი უეჭველად მოელოდა ისგან. მართალია, თ. ილია ჭავჭავაძეს ძლიერ ებრალება დაბალი ღარიბი ხალხი, მაგრამ ამავე დროს თავის ბრწყინვალებას აღმერთებს. გულით სურს დაჩაგრულთათვის ხმა ამოიღოს, დაჩაგრულთა წინ ალუდგეს, მაგრამ ისე, რომ ყველა დაჩაგრულნი თაყვანსა სცემდენ მას. ბ. ილია ჭავჭავაძეს სურს, რომ ყოველ ნასწავლ კაცს და საზოგადოების სარბიელზე მოღვაწეს მხარი მისცეს და თანაგრძნობა გაუწიოს, მაგრამ იმ პირობით კი, რომ უთუოდ ეს მოღვაწე მისი ყურმოჭრილი ყმა, მორჩილი და მოსამსახურე მონა იქნეს. მას სურს, რომ გაჭირვებულთ შეეწიოს რამეს, მაგრამ ისე, რომ მის ფუფუნებითი ცხოვრებას არა დააკლდეს რა. მას სურს, რომ მხნე და გამბედავი პატრიოტი იყოს, მაგრამ ისე, რომ ბატონებმა არ შენიშნონ მას პატრიოტობა და რაიმე გაბედული სიტყვა. გულით და სულით სურს თ. ილია ჭავჭავაძეს სხვა და სხვა დროგამოშვებით გამოცემათა გამრავლება ჩვენში, მაგრამ ისე, რომ მათი გამოწერა გარდა «ივერიისა» არავინ გაბედოს. სურს, რომ თავად აზნაურობის ბანკში მოღვაწეობის და მუშაკობის მსურველნი ალმოჩნდენ, მაგრამ იმ პირობით, რომ მას არავინ შეეცილოს ბანკის მმართველობის თანამდებობაში. ერთი სიტყვით, მას სურს, რომ ორ უფალს ემსახუროს და ორივეს ასიამოვნოს!.. ღმერთსაც თაყვანი სცეს და ე....საც! დიახ, ახირებული ხასიათია.

ილია ჭავჭავაძის და მისი ორგანოს „ივერიის“ ამისთანა ახირებულ და გასაოცარ საქციელთა და თვისებათა დაწვრილებით გამოკვლევა ჩვენ მიგვინდია იმათთვის, რომელნიც უფრო დაახლოებულნი არიან მასთან და სრული იმედია, რომ ზოგი სიცოცხლეში და ზოგიც შემდეგ დაწვრილებით გამოაშკარავდება. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ფაქტს დავასახელებთ ილია ჭავჭავაძის იმ ახირებულ და გასაოცარ თვისებათა დასამტკიცებლად, რომელნიც ჩვენ წინა სტატიაში უჩვენეთ მკითხველებს, როდესაც ფუტკრების დედოს შეადარეთ თ. ი. ჭავჭავაძე.

ამბობენ, რომ ილია ჭავჭავაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენში დრო-და-დრო გამოცემათა საქმეში. ამბობენ: იმან დაარსა «ივერია», რომელიც აგერ 16 წელიწადია, რაც გამოდისო. თითქმის იმან შექმნა მკითხველი საზოგადოება ჩვენს საქართველოში ისე, როგორც აწრუნიმ—სომხის საზოგადოებაშიო. გავსინჯოთ, თუ რამდენათ მართალია ეს.

1867 წელში ბ. გ. წერეთელმა დაარსა თბილისში ჯერეთ «დროება» და რამდენიმე ხნის შემდეგ ჟურნალი «კრებული». ამ დროს ილია ჭავჭავაძის სკაზე—«ივერიაზე» არსად ბაიბური არ ყოფილა. რამდენიმე წლის შემდეგ «დროების» დედოფალ—რედაქტორად გახდა აწ უკვე განსვენებული სერგეი მესხი, რომელიც ხანგრძლივი და აუტანელი შრომა-ჯაფისაგან დასნეულდა უმკურნალო სნეულებით. შემდეგ მესხისა «დროების» დედოფალ—რედაქტორად შეიქნა ბ. ივანე მაჩაბელი. დატრიალდა მუშაობა. გამრავლდა მკითხველი საზოგადოება. გამრავლდნენ მუშაკნიცა.

ნუ დაიიწყებთ იმას, რომ 1877 წლიდამ ჩვენში არსებობდა ერთი სკა, რომელსაც სახელად ერქვა «ივერია» და რომელსაც დედოთ (რედაქტორად) ჰყავდა ბ. თ. ილია ჭავჭავაძე. «ივერია» რაღაცა ცუდ მთვარეზედ დაიბადა. ჯერეთ თვიურად გამოდიოდა, მაგრამ მაინც გაჭირვებაში იყო. სცადეს ჟურნალის კვირეულ გაზეთად გადაკეთება, მაინც საქმეს არა ეშველა რა. დიდი თათბირობის შემდეგ განიზრახეს ორი სკის ერთად შეერთება და ორივე სკაში ორივე დედოს ერთად მუშაობა. მაგრამ მალე დარწმუნდენ, რომ ორი დედოს ერთად მუშაობა ორ სკაში არ მოხერხდებოდა და «ივერიის» სკის საქმე მაინც ცუდად მიდიოდა. «ივერიას» არა ეშველა რა. მას არ მოეხმარა არც თვეობით, არც კვირაობით და არც სამთვეობით თითო ჯერ გამოცემა. აი სწორეთ აქ შეგიძლიათ კარგად დააფასოთ ილია ჭავჭავაძის მეთაურობა და რედაქტორობა დროგამოშვებითი სალიტერატურო ასპარეზზე. მართალია, «ივერია» არსებობდა, მაგრამ ვაი იმ არსებობას! თაფლი არსად იყო არათუ ხალხისათვის, თვით დედოშიმშილით კვდებოდა.

ნათქვამია: «ერთი კაცის უბედურობით მეორე ბედნიერდებაო». სწორეთ იმ დროს, როცა «ივერია» თ. ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით ამისთანა «სულთა ბრძოლის» მდგომარეობაში იყო, წაიქცა «დროების»

სკა და დაიშალა. ყველა მუშა ფუტკრები და მკითხველნი ცა წმინდას ქვეშ დარჩენ. მეტი ღონე არ იყო, უნდა შეხიზნოდენ მეორე სკას. «ივერია» გადაკეთდა დღიურ გამოცემად და ეშველა კიდეც! კარზე მიადგნენ მუშაკნი და მკითხველნი, შეკრებილნი და შეძენილნი წერეთლის, მეხის და მაჩაბლისაგან. მომაკვდავი «ივერია» გაცოცხლდა და დაიწყო მოღვაწეობა და მუშაობა...

ზემო ნათქვამისაგან ცხადად დაინახავს მკითხველი, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის დღიურ გამოცემის «ივერიის» საქმეში ბ. ი. ჭავჭავაძეს, და რამდენად საფუძვლიანია წარწერილობა გაზეთ «ივერიის» სათაურზედ 1877—1893 წ. დღიური გამოცემა «ივერია» არსებობს არა 16 წელიწადი, არამედ 7 წელიწადი. მაგრამ არ გეჯერა, რომ ამდენი ხნის განმავლობაშიაც გაზეთ «ივერია»-ს ბევრად უმჯობესად არ წაეყვანა საქმე და გაემრავლებია მკითხველთა საზოგადოება სხვა უფრო გამჭრიახე კაცის რედაქტორობით და თაოსნობით...

ი. ჭავჭავაძეს და მის ორგანოს «ივერიას» გასაიცრად ეჯავრება მეორე ქართული ორგანო და სხვა რედაქტორებისადმი მისი სიძულვილი სწორეთ თანასწორია ფუტკრის ძველი დედოს სიძულვილისა ახალ დედოსადმი. ამაზედ დაწერილებით ბაასი ძლიერ შორს წაგვიყვანს, ვისაც ამაში ეჭვი აქვს, ურჩევთ ერთი თვალი გადაავლოს ძველი და ახალი «ივერიის» საქციელს და ბრძოლას ქართულ სხვა გამოცემებთან და გეჯერა, რომ ამაში საკმაოდ დარწმუნდება. ჩვენ აქ სრულებით სახეში არ გვაქს ის პოლემიკური კინწლაობა და ბაასი, რომელიც ხშირად ასტყდება ხოლმე ჟურნალ-გაზეთთა შორის, რომელიმე საგნისა და კითხვის გარდაწყვეტის შესახებ. არა, «ივერიის» დავას და კინკლაობას სულ სხვა სუნი უდის და სხვა გვარია. იქ ყოველი სიტყვა დაბეზღებაა... როდესაც იგი თავის გულის საწადელს მიაღწევს და რომელიმე გამოცემას ბოლო ეღება, მაშინ «ივერია» იმერულ მომტირალიეთ ერთ უშველებელ გოდებას და ფარისეველურ ტირილს მოჰყვება.

საჭიროდ არ მიგვაჩნია სიტყვა გავაგრძელოთ იმაზედ, თუ რა ჩაიდინა «ივერიამ» «იმედის» და «თეატრის» შესახებ. მხოლოდ ორიოდე სიტყვას ვიტყვით «ცისკრის» შესახებ. უკანასკნელ ხანებში, როგორც ყველამ იცის, განსვენებულმა ივანე კერესელიძემ მიიღო ნებართვა ჟურნალის გამოცემისა. ილია ჭავჭავაძე თავისი ორგანით აბორგდა, შეშფოთდა, იგრძნო რაღაცა შიში და მიჰყო ხელი განკიცხვას და დაცინვას. საწყალი ი. კერესელიძე მიწასთან გასწორა. ვგონებ ყველას ახსოვს ი. კერესელიძის უკანასკნელი პასუხი «ივერიის»-სადმი... მოისპო ეს ახლად დაარსებული ჟურნალი. «ივერია»-ც დაცხრა. გარდაიცვალა ი. კერესელიძეც დიდ სისაწყლეში და გაჭირვებაში. სიკვდილის შემდეგ ილია ჭავჭავაძე განსვენებულისათვის საზრდოს კრებავს. რომ იტყვიან, ალია შიმშილით მოკვდა და სიკვდილის შემდეგ ფლავს ტენიდინ პირშიო, სწორეთ იმასა ჰგავს «ივერიის» საქციელი.

მაგრამ ვერ მოისვენა «ივერია»-მ «მწყემსი»-ს არსებობით. რაები არ ჩაიდინა ილია ჭავჭავაძის „ივერია"-მ «მწყემსი»-ს გამოცემის წინააღმდეგ. არ დაუზოგავს არც ლანძღვა, არც გინება და, თუ გნებავთ, არც დაბეზღება. როდესაც ერთი რუსული მოამბის გამოცემას პირებდენ ზოგიერთები, მაშინ «ივერია» ილია ხონელისათანა ერთად მიწასთან ასწორებდა «მწყემსი»-ს გამოცემას და ქვეყანას უმტკიცებდა, რომ ეს ახალი ჟურნალი ყოლიფრად კარგი იქნება «მწყემს»-ზედ როგორც შინაარსით, ისე მიმართულებით და მოთავე კაცებითო...

«მწყემსი» ამ ორ თავგასულ გამოცემათა „Новое Обоз."-ეს და «ივერია»-ს უმტკიცებდა, რომ სირცხვილია გაზეთისათვის ბეზღობა და ქება კაცისა, რომელიც ჯერეთ არ დაბადებულა. მაგრამ ვინ ისმინა. ჰქონდა თუ არა უფლება ილია ჭავჭავაძის «ივერიას», რომ რუსული ჟურნალის გამოსვლით ჩვენი გამოცემა ეძაგებია? სრულებით არა. «Новое обоз.»-ი «მწყემსის» ნაკლულეკანებად იმას სთვლიდა, რომ ამ გამოცემას რედაქცია სოფელში ჰქონდა და რედაქტორადაც სოფლის მღვდელი იყო. ნეტავი რა ნახა ილია ჭავჭავაძემ და მისმა ორგანმა «ივერია»-მ აქ დასაძრახავი. სურვილი გვქონდა ხალხს ვმსახურებოდით. იმ დროს წავედით მღვდლად სოფელში, როდესაც სემინარიელი კი არა, ოთხ-კლასში სწავლა შესრულებულნიც კი არ კადრულობდენ სოფლის მღვდლად წასვლას. ჩავდექით ხალხში და შეძლებისა მებრ ვმუშაობდით. «ივერიას» იქნება ჰგონია, რომ სალიტერატურო ასპარეზზე ჩვენ მხოლოდ 1883 წელში გამოვედით. არა, ჩვენ შეძლებისა-და-გვარად სალიტერატურო ასპარეზზე ვშრომობდით დღიდგან ცხოვრებაში გამოსვლისა. ვინ იყო კორრესპონდენტი

ქართულ გამოცემათა შორაპნის მაზრიდამ 1867 წლიდამ თითქმის 1878 წლამდე? ჩვენ, თქვენი მორჩილი მონა. როდესაც შეეხედეთ, რომ სასულიერო წოდებას არა ჰქონდა თავისი ორგანო, რომელშიაც გულახდით გამოეთქვა თავისი გაჭირვება და დალხინება, როდესაც შეეხედეთ, რომ ქალაქის შეძლებული და ნასწავლი მწყემსნი სრულებით არ ფიქრობდენ სამღვდელოების გონებითი განვითარებისა და სასულიერო ორკანოს დაარსების შესახებ, თავს ვიდეევით ეს ძნელი და ყველასგან იმ დროში შეუძ. ლებელი საქმე. ღმერთი შეგვეწია და ეს მძიმე საქმე ადვილად შევასრულეთ. ცხადათ დაუმტკიცეთ ყველას ის, რომ ოღონდ კაცმა გულით მოინდომოს საქმე, ოღონდ ერთგულად მოკიდოს საქმეს ხელი და, სახარების სიტყვისამებრ, თავის წადილს აღასრულებს, სადაც უნდა იყოს. ჩვენ გვგონია, რომ ამას ცხადათ ხედავს ყველა, რომელთაც თვალი აქვსთ ხედვად და ყური სმენად, მაგრამ ვერ ხედავს მხოლოდ თ. ილია ჭავჭავაძე და მისი «ივერია». ჩვენ ცხადათ დაუმტკიცეთ ყველას უსაფუძვლობა იმ თავის გამართლებისა, რომ ვითომ სოფელში ცხოვრებისა გამო ლიტერატურას ვერ ემსახურებიან. ნუ თუ ჩვენ და ჩვენი ორგანი «მწყემსი» ამითი ვართ დასაძრახავი და გასაკიცხავი?! ილია ჭავჭავაძე და მისი ორგანის «ივერიის» ცრუ პატრიოტები «მწყემსი»-ს დამცირებას სცდილობენ იმით, რაც გაგებული და გონიერი კაცის თვალში ყოველგან საქებურად და თითქმის საკვირველადაც ალიარებული და მიჩნეულია. «სოფელშია რედაქცია და სოფლის მღვდელია რედაქტორად!" რა არის აქ ცუდი? რა არის აქ დასაცინელი და საუკვირველი?

დღეს დარწმუნდა საზოგადოება, რომ ყოველივე წინასწარმეტყველება ილია ჭავჭავაძის გაზეთისა ხსენებული ახალი ჟურნალის შესახებ გამართლდა და, როგორც სურდა «ივერია»-ს, ისეც გამოდის ეს ჟურნალი... მაგრამ რა **გასაკვირველია** რომ ეს გამოცემა «მწყემსს» სჯობდეს შინაარსით და მიმართულებით. „მწყემსს" ჰყავს რედაქტორად და მოთავედ ერთად ერთი სოფლის მღვდელი და რამდენს წვალობს იგი მის გამოცემაზედ, ეს ერთმა ღმერთმა უწყის. და ამ ახლად გამოცემულ ჟურნალს ჯერეთ რედაქტორად ჰყავს მაღალ სასწავლებელში სწავლა დასრულებული, თანაშეეწედ მას ჰყავს კიდევ ქალაქის დიდი ნასწავლი ქართველი მაგისტრი. ამათ გარდა მონაწილეობას იღებენ ამ ჟურნალში აუარელი მასწავლებელნი, ყველანი უმაღლეს სწავლამიღებულნი. მათ შორის „ივერი"-ს შეყანი შნავარქელოგი, ლინგვისტი ისტორიკოსი. რა გასაკვირველია, რომ ამდენი კაცის თანხმობით და დახმარებით ეს ჟურნალი ბრწყინვალედ გამოდიოდეს და სჯობნიდეს უბრალო სოფლის მღვდლის ორგანოს «მწყემსს»!..

ამდენ პირთ, რასაკვირველია, ადვილად შეუძლიათ შეიტყონ, სად რომელი ბრიჩეტნიკი და სტარიკი განწესდება, რუსეთის რომელ ეპარქიაში რომელი ეპისკოპოსი და ქორ-ეპისკოპოსი დაინიშნება, სად რომელ სასწავლებელში რამდენი შაგირდი გადვიდა შემდეგ კლასში და სად რომელმა მედავითნეებმა შეუცვალეს ერთმანეთს ადგილი სამსახურის სარგებლობისათვის. ჩვენ მარტო ერთი როგორ შევიტყობთ ყველა ამაებს?... ესეც რომ არ იყოს, ზოგიერთებს ჩვენი გამოცემის პროგრამმა კიდევ არ წაუკითხავსთ და ვერ გაუგიათ, ვერ შეუტყვიათ, რომ დანიშნულება ჩვენი გამოცემისა სხვა არის და არა ის, რომ საზოგადოებას ბრიჩეტნიკებისა და სტარიკების განწესება შეატყობინოს...

დიახ, ამ ბოლო დროს ილია ჭავჭავაძე და მისი ორგანი «ივერია», თუ კარგად დააკვირდებით მასს, ძლიერ ცუდ თვისებას იჩენს არა მარტო დრო-და-დრო გამოცემათადმი, არამედ ცხოვრების სარბიელზე გამოსულ ზოგიერთ პირთა წინააღმდეგაც: ილია ჭავჭავაძეს და მის ორგანს «ივერიას», როგორც ზემოთაც ვსთქვით, უყვარს ყველა მოღვაწე კაცი, საზოგადო ცხოვრების სარბიელზედ გამოსული, მაგრამ **იმ** პირობით, რომ იგი მისი თაყვანისმცემელი და ყურმოჭრილი ყმა იყოს... მხოლოდ მაშინ იქნება ილია თქვენი თანამოაზრე, თანამგრძნობი და დამხმარე საკეთილო საქმეში, თუ თავდაპირველად ილიას დაეკითხე, ან სთხოვე რჩევა და რაიმე საქმის დაწყებაზედ აიღე მისგან ლოცვა-კურთხევა. ილია ჭავჭავაძის ამისთანა თვისების დასამტკიცებლად ჩვენ მოვიყვანთ ორიოდე ფაქტს.

თფილისის გუბ. თავად-აზნაურთა ერთ კრებაზედ ბ. ი. მაჩა—მა კრებას განუცხადა სურვილი განსვენებული დ. ყიფ—ის სასაფლაოზედ ძეგლისა, ან და თუ გნებავთ, ერთი დიდი სქელი ქვის დადებისა, რომ განსვენებულის საფლავი არ გადავიწყებულიყო და ბოლოს ამ ადგილას **სხვა** არავინ დაეძარხათ. წინადადება მართლაც თავის დროზედ იყო გამოცხადებული. ილია ჭავჭავაძემ და მისმა

ორგანომ «ივერიამ» კრინტი არ დაძრა ამ კითხვის შესახებ. რისთვის? მისთვის, რომ მა—ბელს წინდაწინ ლოცვა-კურთხევა არ მიუღია ილიასაგან ამ კითხვის წარმოთქმისათვის. თუ ეს არ არის მიზეზი, ალბათ მეორეა შიში. შიშით და ხათრით არ ამოიღო ილიამ ხმა ამ საგანზე. თუ ასეა, მაშინ თ. ილია ორ წილად დამნაშავეა საზოგადოების წინაშე...

უნებლიედ გვაგონდება ი. ჭავჭავაძის ერთი საქციელი განსვენებულის ყი—ნის გვამის თფილისში შემოსვენების დროს. ერთ ადგილას წინ გადაგველობენ გზაში და არ გეიშვებდენ. თითქმის ყველა ჩვენი პუბლიცისტები კუბოსთან იყენენ. ილია შორს მიიმალა. გაიარეს დაშლილ გზაზე. ილია სხვა გზით წავიდა, მოერიდა, მაგრამ ვის? და რას?—დღესეც ვერ შეეტყვეთ. განა არ შეეძლო ორიოდე სიტყვაც ეთქვა ილიას ყ—ის საფლავზედ? განა არ იყო რამე სათქმელი ყ—ნის საფლავზედ? სათქმელი კი იყო, მაგრამ აკაკის გაბედულება უნდა ჰქონოდა კაცს და მაშინ იტყოდა რამეს...

1890 წელში ჩვენ დავიწყეთ კეთილ-მნებებელ პირთაგან შეწირულების შეკრება მეფის დავით აღმაშენებლის საფლავზე სამლოცველოს გასანახლებლად და შესაფერი ნამატურის ასაგებად მის საფლავზე და მთავარ-მოწამეთა დავით და კონსტანტინეს გვამთათვის რიგიანი კუბოს მოსაპოებლად. ამ საგნის შესახებ ჩვენ შემდეგი მოწოდებითი წერილით მივექეცით ილია ჭავჭავაძის და მისი გაზეთის «ივერიისადმი:

«მეფის დავით III აღმაშენებელის ღარიბულს საფლავზე გელათის მონასტერში შესაფერის სამლოცველოს დანამატურის უმექონლობამ და მეტად უბრალო კუბომ ჩვენ დიდთა და წმიდათა მოწამეთა არგვეთის მთავართა, ძმათა დავით და კონსტანტინეა მოწამეთის მონასტერში დიდი ხანია აღძრა ჩვენში მხურვალე გულის წადილი—როგორმე აგებულიყო დავითის საფლავზე შესაფერი სამლოცველო და ჩვენ მოწამეთა წმ. დავით და კონსტანტინეს გვამთათვის გაკეთებულიყო შესაფერი კუბო. ამ მიზნით 31 მარტს ამა წლისა ჩვენ მივართვით მისს ყოვლად უსამღვდელოესობას, იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს მოხსენება და ვსთხოვეთ ლოცვა-კურთხევა და ნებართვა ამ წმიდა საქმეზედ. ყოვლად სამღვდელომ კეთილ-ინება და გვიბოძა თვისი კურთხევა და ნებართვა მოგვეკრიბა კეთილმნებებელ შემწირველთაგან შესაწირავი ამ საქმეს საქმის განსახორციელებლად».

«აწ, გიგზავნით რა თქვენ მოწოდებას და ხელმოსაწერ ფურცელს,—სრული იმედი გვაქვს, რომ არ დაიშურებთ თქვენის საშუალებიდამ შეძლებისადაგვარად წვლილის შემოწირვას ამ წმიდა საქმისათვის, რომელიც უეჭველად თქვენთვისაც ისეთივე ძვირფასია და სანატრელი, როგორც ჩვენთვის,—და აგრეთვე მოიწვევეთ შეწირულებისათვის თქვენ ნაცნობთა, მახლობელთა და ხელქვეითთაცა, რათა ნაშდვილ და მალე დაგვირგვინდეს ეს საქმე».

წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება, რომ თ. ილია ჭავჭავაძემ და მის რედაქციაში მოსამსახურეთა არავითარი ყურადღება არ მიაქციეს ჩვენს თხოვნას და მოწოდებას! შეიძლება ჩინეთში ყველასაგან მტკიცედ აღიარებული წინაპართა დიდი პატივისცემა და დიდის პატივისცემით შემკობა მათი საფლავისა ილია ჭავჭავაძეს და მის ორგანოს «ივერია»-ს არ ესმის და უარსჰყოფენ. შეიძლება ილია ჭავჭავაძეს და მის «ივერია»-ს როგორც სიცოცხლეში ისე სიკვდილის შემდეგ კაცის აღარა სწამს რა და მათი პატივისცემა და საფლავებზედ ძეგლების შენება უსარგებლოდ და უადგილოდ მიაჩნია. თუ ასეა, მაშინ ჩვენ არა გვეთქმის რა; არავის არა აქვს უფლება მათ ძალა დაატანოს და მოსთხოვოს რაიმე შეწირულება წარსული დროის მოსაგონებლად.

მეორე მხრით ილია ჭავჭავაძის მოქმედებას რომ დააკვირდებით, მისი საქციელი სულ სხვას გეუბნება. ამბა დააკვირდით, რა დიდი ჭაპანწყვეტით კრებავს ის დ. ბაქრაძის, დურგლის დავითაშვილის, ბარათაშვილის და ქო—ნიას ძეგლებისა და ფონდებისათვის შეწირულებას. ყველას ახსოვს, თუ როგორ სთხოვდა ამას წინედ ილია ჭავჭავაძე «ივერია»-ს რედაქტორს თ. ილია ჭავჭავაძეს სამი მანეთის მიღებას და გაზეთში გამოცხადებას, რომ ყველას შეეტყო, აი ილია ჭავჭავაძემაც კი დაიკვეთა ქორდანიას ხრონიკებიო. განა ილია ჭავჭავაძეს არ შეეძლო, რომ 3 მანეთი, და თუ გინდ მეტიც, აელო და მიეცა ხელში ბატ-ქორ—ის და ეს საქვეყნოდ არ გამოეცხადებია? ეტვი ხომ არ ჰქონდა რედაქციაზე?! მაგრამ არა, ილია ჭავჭავაძე აქ რიგიანად მოიქცა. დარწმუნებულია ყველა, რომ ილია ჭავჭავაძემ ყველაფერი იცის, მაგრამ ქრონიკებს მაინც ყიდულობსო. სხვები იფიქრებენ, თუ კი ილია ჭაკჭავაძე ყიდულობს, ალბად კარგი რამ არის და საზოგადოებაც, რასაკვირველია, არ

დაიშურებს 3 მანეთსო. საზოგადოებაში დღეს ერთნაირი წაბაძვის სნეულებაა გავრცელებული, რომელზედაც შემდეგ ნომერში გვექმნება სიტყვა. ამ მოვლენას ყველამ უნდა მიაქციოს ყურადღება.

გვიკვირს და ვერ აგვიხსნია, თუ რატომ დაიშურა ილია ჭავჭავაძემ 1 მანეთი ან ერთი აბაზი მეფე დავით აღმაშენებელის საფლავის გასამშვენებლად? 1888 წელში მათ იმპერატორებით დიდებულებათ, მეტკიდრეს დიდ მთავარს ნიკოლოზ ალექსანდრეს ძეს და სხვათა მიუძღვნეთ წინ დავით აღმაშენებელის საფლავზედ, რადგან სურდათ ამ საფლავის ხილვა. ყველანი გაოცდენ, როცა ნახეს ისე შეუფერებლად და ღარიბად ამისთანა შესანიშნავი კაცის საფლავი. ზოგიერთებმა კიდეც სთქვეს: «ბრალი არ არის, რომ შთამამაელობა ამის მეტს პატივს არ სცემდეს ამ შესანიშნავ მეფესაო, რომელმანც მთელი საქართველო დაიხსნა გათათრებისა და აოხრებისაგანო?» როგორ მოგწონთ, მკითხველნო, ეს სიტყვები?... ამაზედ მეტი სასირცხოიქნება რამე კიდევ...

ილია ჭავჭავაძე და მისი ორგანო «ივერია» იქნება დიმიტრი ბაქრაძის და თ. ქ—ის ღვაწლს მამულის წინაშე უფრო აფასებდეს, ვინემ დავით აღმაშენებელის და არგვეთის მთავართა დავით და კონსტანტინესას. დ. ბაქრაძემ მართალია რამდენიმე ისტორიული და არქეოლოგიური ცნობანი შეგვეძინა და ბ. ჟორდანია ქრონიკებს გვპირდება, რომელიც ჩვენ წინაპართა თავგადასავალს თვალის წინ აგვილაპლაპებს. მაგრამ გვიკვირს, დავითაშვილმა რალა ამისთანა ღვაწლი ჩაიდინა მამულის წინაშე, რომ მისი ძეგლისათვის ფულებს აგროვებს «ივერია» და დავით აღმაშენებელისათვის ერთ გროშსაც არ ღებს? ამაზედ მეტი ჭკუა-გონების არევ-დარევა იქნება! ჭეშმარიტად ბრძანებს სახარება: „ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო, რამეთუ ცუდათ ასწავებთ და ცუდათ იქცევით». რომელი უდიდესია? ის, რომელმანც გადმოწერა ეკლესიის კედლიდამ რამდენიმე წარწერილობა, თუ ის, რომელმანც აღაშენა ეს ეკლესია და წარწერა მაზედ თავის ხელით? რომელი უდიდესია, ის, ვინც აღწერა წამება ქრისტეს სარწმუნოებისათვის დავით და კონსტანტინესი, თუ თვით ეს წამებულნი მოწამენი?

მადლობა ღმერთს, ილია ჭავჭავაძის და «ივერი»-ის დაუხმარებლადაც საკმაო წელილი შეიკრიბა ამ კეთილი და სანაქებო საქმისათვის. დღეს ამ საგნის შესახებ სახელმწიფო ბანკში გვაქვს 1700 მ. და, იმედია კიდეე საკმაო ფული მოიბოჭება ქართველობაში...

ერთი შენიშვნაც კიდეე და გავათავებთ. 1892 წელში «მწყემსი»-ს უკანასკნელ ნომერში ჩვენ ვაცნობეთ ჩვენს მკითხველებს ჩვენს სიცოცხლეში შესანიშნავი წამები: ჩვენი დაბადებიდამ 50 წლის შესრულება, 25 წლის მღვდლად და ბლაღოჩინად მსახურება, 25 წლის შესრულება ღლიდგან ქორწინებისა და როგორც ყველა ამაზედ უმეტესად შესანიშნავი 10 წ. შესრულება ღლიდგან ჩვენი ორგანის „მწყემსი"-ს არსებობისა. მადლობა შევსწირეთ ღმერთს ღღემდის მონიჭებული ღღეგრძელობისათვის და შეძლებისადაგვარად შრომისა და თავის მოვალეობათა აღსრულებისათვის. ამასთან მადლობა შევსწირეთ ჩვენ მკითხველ საზოგადოებას, რომელიც თავის ზნეობითი დახმარებით და თანაგრძნობით ჩვენ ყოველთვის ხელს გვიმართავდა და გვეწეოდა ჩვენი მძიმე მოვალეობის აღსრულების საქმეში. რა ნახა აქ ილ. ჭავჭავაძის «ივერია»-მ საუგეველი და გასაკიცხი? ნაცვლად თანაგრძნობისა და კეთილშობილურად მოკითხვისა და მოსალმებისა უშველებელი ტბა წამოამთხია «ივერია»-მ უზრდელი და რეგენული ლანძღვა-გინებისა, დაცინვისა და სამღვდელო ხარისხთა ქირდად აღებისა (იხილე „ივერია" 30 დეკემ. 1892 წ.) რისთვის? ათი წელიწადი სალიტერატურო ასპარეზზე კაცი ემსახურო, (ნუ დაიეიწყებთ, რომ ჩვენ შეძლებისა-და-გვარად ჩვენი თანამშრომლობა არასოდეს არ მოგვიკლია არც ერთი ქართული გამოცემისათვის 1867 წლიდამ). 10 და 20 წელიწადი ის ტანჯვა-წვალება გაიარო კაცმა, რაც ყოველ კაცს კალმის ხელში ამღებს აუცილებლად მიადგება, 25 წელიწადი შეძლებისადაგვარად ერთგულად ემსახურო კაცი მიყრუებულ სოფელში შენს მამულს, შენს მოძმეთა, სარწმუნოებას, და კეთილზნეობის დამყარებას, ერთგულად ებრძოლო სიბნელეს, მტარვალობას და უსამართლოებას, განა მართებულია, რომ ეს ღვაწლი, ეს შრომა ასე დაცინვით, ასე ლანძღვით მოიხსენოს კაცმა? არ იფიქროთ, რომ ჩვენც არ შეგვძლებოდეს ქალაქის ადგილას თანამდებობის შოვნა. არა, პირიქით წინადადებას გვაძლევდენ გადავსულიყავით და გვპირდებოდენ კარგ და შემოსავლიან ადგილს, სადაც უმეტესად უზრუნველი ვიქნებოდით და ბევრად უჯაფოდ შეგვეძლო ცხოვრებაც. მაგრამ არა, კაცი სოფელში

უფრო საჭირო საზოგადოებისათვის. ამ აზრით აღ-ჭურვილმა უარი ვყავით დიდ ჯამაგირსაც, დიდ ადგილსაც და ქალაქის ფუფუნებით ცხოვრებასაც. ჩვენ დაუმტკიცეთ ყველას, რომ კაცს მამულის სამსახური ყოველს ადგილას შეუძლია. ჩვენ დაუმტკიცეთ ყველას, ვგონებ, რომ სოფელი კი არ «აყრუებს» კაცს, თვითონ კაცია მიზეზი თავისი გონების დაბნელებისა და გამოყრუებისა და არა სოფელი და სოფლური ცხოვრება. ოც-და-ხუთი წელიწადი ჩვენი მსახურებისა ნიადაგი ბრძოლაა ამ წუთის სოფლის წაღმა-უკუღმა ტრიალთან და, მადლობა ღმერთს, ჩვენმა შრომამ ფუჭად არ ჩაიარა. ჩვენმა შრომამ შეაჩვია სოფელი კითხვას, დაახლოვა ჩვენი მოძმენი ერთმანეთს და გააგებინა თავიანთი გაჭირვება და დალხინება. მოგვყავს ჩვენ ჩვენი სიტყვების დასამტკიცებლად მთელი საზოგადოება და სამღვდელოება საქართველოსი. ოც-და-ხუთი წლის ასეთი სამსახური კაცისა და ღვაწლი განა რიგია, რომ ასე ყბად ასაღებად, წყალ წასაღებად მიიჩნიო? არა და არა. მაშ რას უნდა მივაწეროთ თავადი ილია ჭავჭავაძის და მისი «ივერიის» ასეთი მიუტევებელი საქციელი? იმას, რომ ი. ჭავჭავაძე, რედაქტორ-გამომცემელი «ივერიისა» დაბერდა, დასუსტდა და, თუ გნებავსთ, გამოფიტდა კიდეც. სწორედ ამას უნდა მივაწეროთ არა თუ მარტო ჩვენი, არამედ მთელი სამღვდელოების ლანძღვა-გინება და ქირდვა მისი ორგანოს «ივერიისაგან». ალბათ მკითხველებს ახსოვსთ, თუ რას სწერდა წარსულ წელში და წინეთაც სამღვდელოებაზედ «ივერია». სამღვდელოება შედარებული იყო სოფლის მარტირუზა და მიკირტუმა ვაჭრებთან. «ჩვენი დიაკონები, ამბობდა «ივერია», ბსუნაგებიაო და მღვდლებს რომ ხალხის არ ეშინოდესთ, დიდმარხვაში ღორის ლურთებს, ბეჭებს და ბოზბაშებს გიახლებიანო». ესლაა საჭირო ჩვენი დაჩაგრული სამღვდელოებისათვის? შეიძლება ასეთი ქირდვა სამღვდელო წოდებისა? ნუ თუ ფიქრობს ი. ჭ—ძე, რომ ბედნიერი ყოფილიყოს როდისმე საქართველო სამღვდელო წოდებას მოკლებული? ნუ თუ ჰგონია ილია ჭ—ძეს, რომ საქართველომ წინ ბიჯი წადგას და ბედნიერი ცხოვრება იხილოს, თუ სამღვდელოება არ იქნა მისი მეთაური?.. 12 მოციქულში 1 იუდა გამცემელი იყო. რასაკვირველია შეიძლება, რომ ამდენ სამღვდელოებაში ორი-სამი კუზიანი იყვეს, მაგრამ მთელი სამღვდელოება ასე გაიცხოს კაცმა, არ შეიძლება. არ შეშვენის ქართველს ასეთი ქირდვა.

შეიძლება თ. ი. ჭ—ძემ სთქვას, რომ ის სრულებით არ იღებს მონაწილეობას, რაც მის ორგანოში იწერება. მაგრამ არა. ყველა კარგად ხედავს, თუ როგორ ოსტატურად იქცევა ზოგიერთ შემთხვევაში ი. ჭ—ძე. თვითონ მიეფარება, ვითომ დამეარაფერ შუაში ვარო, თავის ორგანოს კი გადუშლის ვიღაცა ბიჭბუჭა მწერლებს, რომელნიც თავის სახელის გამოცხადებასაც კი ვერ ბედავენ, და რასაც ეს ყმაწვილები, მისი ყურმოჭრილი ყმები «აბრები», «კოჭები», „ორანები“, «ჩიორები», «სკვინჩები», «ბუზები», «ბზიკები», «ახნაზაროვები» «აფიშორათ» ნამყოფნი მოისურვებენ, იმას სწერენ და ილანძღებიან. ჩვენ არა გვჯერა, რომ საზოგადოებას არ ჰქონდეს შენიშნული ი. ჭ—ის ამისთანა «მალულობიას» თამაშობა. ეს მალულობია ამ ბოლო დროს მაინც ცხადათ ჩნდება.

მართალია, წინეთ ხშირად გვესმოდა ი. ჭ—განმამულო! მამულო! მაგრამ დღეს, და ღმერთთან სწორი სჯობს, წინეთაც ნიადაგ თავის ფუფუნება, თავის გამდიდრება, თავის ბატონობა და კეთილი ცხოვრება ჰქონდა სახეში!..

იმან დაიკვეხოს მამულის სიყვარულობა, მოძმეთა კეთილდღეობაზედ ნიადაგი ზრუნვა, რომელიც თავისი მიუდგომელი და პირდაპირი სიტყვით ყველა ზემო ჩამოთვლილ ფუფუნებითი და ბატონობით ცხოვრებას მოკლებულია. იმან დაიქადოს მამულისშვილობა და მოძმეთა ერთგულება, რომელიც ყოველთვის მოძმეთა გაჭირვების დროს ნიადაგ ხმას აღამაღლებს უშიშრად, როგორც ერთგული დარაჯი სიმართლისა და ჭეშმარიტებისა. განა არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც «ივერიას» ხმა უნდა გამოეღო, თუ გინდ იმ კითხვების შესახებაც, რომელზედაც «მწყემსი» გაბედულად და ხმამაღლად არა ერთჯერ ღაღადებდა? ერთად ერთ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთს განა დაეღევა მასალა? რას შეებოდა ამ დროს ი. ჭ—ძე და მისი «ივერია»? ი. ჭ—ძე ამ დროს დიდის თავმოწონებით «ივერია»-ში მოგვითხრობდა ბისმარკის და კაპრივის პოლიტიკას, გლადსტონია და სალისბიურის პოლიტიკურ მიზნებს, საფრანგეთის კეთილ-განწყობილებას სხვა სახელმწიფოებთან, დაწვლილებით მოგვითხრობდა, თურას ფიქრობს ავსტრია ბოსნიაზე, კომბურღი ვისქალს ირთავს

და სულ თანა რამდენი ეხარჯება ჰარამხანის შენახვაზეო. ი. ჭ—ძის «ივერია» დაწელილებით მოგვითხრობს, თუ რამდენი ეხარჯება გერმანიას ჯარების შესანახავად, საბერძნეთს დარდანელის გამაგრებაზე, ავსტრიას—ბოსნიის და ჰერცოგინის ოკუპაციისათვის და ინგლისს ფლოტისათვის. გაზეთი რჩევას აძლევს ამ სახელმწიფოებს, რომ ყირიმეთში დიკაკონ და ხარჯი შეუმოკლონ ხალხს. ამისთანა პოლიტიკის და ეკონომის კაცებს ის კი ვერ მოუხერხებიათ, რომ ევროპაში ჩაფლულ თავად-აზნაურთ მათი მამულების გასყიდვის ზესახვა რეალური სიტყვის განცხადების დაბეჭდვაში 8 მან. არ გამოარეკა. მაგრამ ამაზედ როგორ რამეს იტყვის ი. ჭ—ძე და «ივერია», რადგანაც ამ საოდენ მოვალეთა განცხადების დაბეჭდვაში, რომელთა დაბეჭდვა, ერთი ათად ნაკლებ შესაძლებელია, კარგა ბლომა ფულებს იღებს «ივერის» რედაქცია ორი ბანკიდგან...

ვისთვის არის საჭირო, ევროპის პოლიტიკაზე რომ უწველებელ გაჭრელებულ სტატიებს სწერენ? ნუ თუ ი. ჭა—ძე თავის მკითხველებს ვერ იცხობს? სხვალა მრავალი ქართველები, დარწმუნდით, ევროპის პოლიტიკაზე «ივერიის» დაწერილს არ დასჯერდებიან, რადგან რუსულ გაზეთებში უფრო მეტი იწერება პოლიტიკის შესახებ. ისეთ მკითხველებს, რომელთაც სწავლა არ ნიულიათ, დარწმუნდით, რომ ბისმარკი, კაპრივი, გლადსტონი და სალისბიურის პოლიტიკა და ნიმართულება არ ეინტერესებათ...

აქ ერთი ამბავი მაგონდება. ერთხელ განსვენებული თ. დ. გურიელი თავმოწონებით მოუთხრობდა ბეკრებულ სტუბრებს, თუ როგორ მიიწვია იგი იმპერატრიცა ევგენიამ პარიკში და რა მშვენიერად გაუხასპინძლდა. იქ დაესწრო ამ დროს განსვენებული ეპ. კალანდაძე და უთხრა თავისთვისთან თავადს:

— ბატონო დიმიტრი, ოა მშვენიერ საჭმელებს მოგართმევენ! ბე ეგონებ, სადილზე ეკლიპტიკას და ეკვატორსაც მოგართმევენ საჭმელად...

— ეოველნაირი საჭმელები იყო, ბრძანა თავმომწონე დიმიტრიმ. ეგ საჭმელები მესამე პორციათ მოგვიტანეს... მართლაც და გემრიელი ყოფილა.

შეიქნა აქეთ იქით ფხუ! ფხუ! ფხუ!

გაზეთის ზოგიერთმა მკითხველმა თავის ბოქაულის სახელი არ იცის და შენ გაუჭრელე მასს სალისბიურის და კაპრივის პოლიტიკის მიმართულებაზედ სტატიები და ბევრს გაიგებს!..

დასკვნა. იცით, მკითხველო, თუ რამ გვაიძულა ამ სტატიის დაწერა? მიზეზები ბევრია და უმთავრესად ი. ჭავჭავაძის და მისი ორგანოს „ივერიის“ კეთილ-დღეობის, კეთილ-წარმატების და ჭეშმარიტ გზაზე დაყენების სურვილმა.

ხშირად მოხდება, რომ თუ სკაში საკმაო საჭმელი აქვსთ ფუტკრებს, ადვილად ზარმაცდებიან, ზანტდებიან როგორც ადამ ისე მუშა ფუტკარნი. დახელოვნებული მეფუტკრე ამისთანა სკას შეახანხალ-შემოახანხალებს. ფუტკრები და ადამ ხელახლავ მიყოფენ ხელს მუშაობას და ზარმაცობა მათში ისპობა. ეს ხერხი, გარწმუნებთ, ი. ჭავ—ძეს და „ივერია“-საც ძლიერ მოუხდება. სრული იმედია, რომ «კვალი» მაინც კარგად გამოაღვიძებს ამ გაზეთს.

ადვილად ჩვენ გადაჭრით ვითხოვთ თ. ი. ჭავჭავაძისაგან, რომ მის ორგანოში თუ რაიმე იქნება დაბეჭდილი, ვისგანაც და რა შინაარსისაა უნდა იყოს დაწერილი ჩვენ და ჩვენი გამოცემის შესახებ, უთუოდ დამწერის ნამდვილი სახელით და გვარით იყოს ხელმოწერილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ყოველთვის ბ. ილიასთან გვექმნება საქმე და პასუხის მგებელიც იგივე იქნება. ჩვენ ამას ვითხოვთ მისთვის, რომ თ. ი. ჭავჭავაძის ორგანოს მწერლების «აბრების», «ჩიორების», «ევრმიანაშვილების», «სენეკსების», „მწარიების“, «წკიპურტების», «ორანგების» და „აფიშორად“ ნამყოფი «ახნაზაროვებისა» და სხვათა მრავალთა ნამდვილი სახელი და გვარის გამოცხადება ჩვენ უპასუხოთაც საკმაოდ დაარწმუნებს საზოგადოებას მათ არარაობასა, უსუსურობასა, უგნურობასა და უზრდელობაში. ტალახის სროლა ლობეს ამოფარებით საზიზღარ საქციელად არის მიჩნეული ყველასაგან და ურჩევთ ი. ჭავჭავაძეს და მის ორგანს «ივერია»-ს მოერიდოს ამისთანა საქციელს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვარწმუნებთ მას, რომ იგი, როცა იქნება, პასუხს აგებს.

დ. და—ძე.

27 იანვარს
1893 წ.

რათ გამოგვსლიტეს სხვებში?

წერილი კეკიდამ.

ამ წერილში ჩვენ გვსურს შევეხოთ ერთს გარემოებას, რომელმაც ჩვენი სამდვდელოება დიდად უნდა დააფიქროს, რაკგან ის, რაზედაც მე მსურს ლაპარაკი გავმართო ამ წერილში, ძირს უთხრის და დიდათ აბრკოლებს ჩვენს სასულიერო განათლებას. ეს გარემოება ის არის, რომ ზოგიერთი პირების წყალობით, ამ 7—8 წლის წინად, ჩვენი სემინარიის პროგრამმა სხვა სემინარიების პროგრამებიდგან შეიცვალა, შემოკლდა, ზემოდ მოხსენებულმა პირებმა სასულიერო მთავრობა შეცთომაში შეიყვანეს და რამოდენიმე საგანი გამოარიცხვიეს პროგრამიდგან, ისეთი საგნები, რომელნიც უწმ. სინოდისაგან, დიდი ხანია, არიან ცნობილნი მეტად საჭიროთ სემინარიისათვის და შეტანილნი მის პროგრამმაშიდ. ასეთს საგნებს ეკუთვნიან: ფილოსოფია, კლასსიკური და ახალი ენები. ყველას უნდა ესმოდეს, რომ ღვთისმეტყველების უფილოსოფიოთ შესწავლა ყოვლად შეუძლებელია, რადგან საგანი ჯ კითხვები ამ ორის მეცნიერებისა ერთი და იგივე არიან. ისიც ცხადია ყველასათვის, რომ დღეს ისეთი დროა, როდესაც, თუ ახალი ენები არ იცი, ვერას გაარიგებ ასე თუ ისე შესამჩნევს და საფუძვლიანს. ეს უფრო უნდა გვახსოვდეს ჩვენ, ქართველებს, რადგან ჩვენი მეცნიერების დღეს თითქმის მარტო აჩრდილია; თუ რამეს აკეთებენ კავკასიის შესახებ, აკეთებენ უმეტეს ნაწილად ფრანგები ჯ ნემცები. ყველამ ვიცით, თუ რა ღვაწლი დასდვეს ჩვენს ისტორიას ბროსსემ, სენმარტენმა, კლაპროტმა, ფლენორმანშა და სხვებმა. ასეთი მოღვაწეები დასავლეთ ევროპაში არც დღეს გამოლეულან და იმედია, შემდეგისათვისაც იქნებიან ჩვენდა სანუგეშოდ. თუ ახალი ენები არ იცი, კრინტს ვერ დასძრავ და ხეირიანს ვერას იტყვი ვერც კავკასიურს ფილოლოგიაზედ, ვერც ისტორიაზედ და ვერც არქეოლოგიაზედ. მაშასადამე ქართული მეცნიერი მხოლოდ მაშინ მოუტანს ნაყოფს სამშობლოს მეცნიერებას, როდესაც ახალი ენები ეცოდინება.

მეორეს მხრით, ავიღოთ თვით ის სემინარიელები, რომელნიც აკადემიაში იგზავნებიან. ვინ წარმოიდგენს, რამდენ ტანჯვას იგინი ითმენენ მაშინ, როდესაც არაფერში დანაშაური არ არიან? ათავებს კაცი სემინარიას, გზავნიან აკადემიაში, შედიხარ ეგზამენაზე და შტერდები: გცდიან ფილოსოფიაში, ნემეცურში, ფრანგულში, ბერძნულმი (იმერელს) და ლათინურში (ქართველს და კახელს!) ეს საგნები კი, იქნება, თვალითაც არ გენახოს, რადგან ჩვენს სემინარიაში, დიდი ხანია, რაც ამაებს ადარ ასწავლიან. ჯერ ისედაც გული გისკდება შიშით ჯ მერე კიდევ ის ერთვის ზედ, რომ იმის ნახევარიც არ გისწავლია, რაც რუსის სტუდენტს გაუვლია?! როდესაც შენი ამხანაგი იგებს ასეთს შენს სისუსტეს, ზიზღით გეუბნება: შენ ჩემთან როგორ უნდა დაგაჯინონ, როდესაც ამდენი ჯ ამდენი საგანი არ გისწავლიაო! ეს კიდევ არაფერი. აკადემიის მმართებლობამ არ იცის მიზეზი ასეთი საკვირველი მოვლენისა, რადგან იგი დარწმუნებულია, რომ ყველა სემინარიელებს ერთი ჯ იგივე პროგრამმა უნდა ჰქონდესთ გავლილი. ამისათვის მათ ვერაფერით ვერ დაარწმუნებ, რომ შენ ეს საგნები არ გისწავლია. ყველა იმას გეუბნება, რომ უკან დაბრუნების ღირსი ხარო, რადგან გიმნაზიელების ტოლაც არ გისწავლიაო. წარმოიდგინე ის ცეცხლი, რომელიც ამ დროს სტუდენტის გულში ინთება? აქეთ უნდა ეცე, იქით, რამოდენიმე თხოვნა უნდა დასწერო, შიგ დაწვრილებით უნდა ახსნა ჯ დაამტკიცო, რომ შენი ბრალი არა არის რა, არ უსწავლებიათ ჯ ბოლოს, როცა გაიგებენ შენს სიმართლეს, ჯერ კვირდებიან, თუ როგორ მოხდა ეს, რომ ეს ჯ ეს საგნები ყველა სემინარიების პროგრამებშია მოქცეული ჯ ამათ კი არ უსწავლიათო ჯ ბოლოს კი მიგიღებენ დიდის გაჭირვებით.

მაგრამ ესეც ცოტაა. შედიხარ აკადემიაში; ახალი ენების ინჩი არ გესმის; იწყებ ანბანიდგან ჯ როცა ხედავ, რომ შენს ამხანაგს უკავია ხელში ნემეცური, ფრანგული ჯ კითხულობს

თავისუფლათ, გული გეწვის ჯ ეკითხები შენს თავს: „რა დამიშავებია, მე საბრალოს, რომ ჩემთვის არავის უსწავლებია ესეები ჯ დღეს კი სავალდებულოდ და საჭიროდ გამხდარა ჩემთვის?!“ გულგახეთქილი მიდგები სტუდენტი წიგნს, დაეწაფები, რომ როგორმე მოეწიო ამხანაგს და ან თხზულებათა დაწერაზედ რიუზედ გაგდებული არ დარჩე უმასალობისა გამო. ეწაფები, თავს აკლავ, მაგრამ განა კაცი ყოვლად შემძლებელია? როგორ მოეწევი იმას, რომელმაც ეგ საგანი 6 წელიწადს კბილა და შენ კი ახლა იწყებ ჩხირის თლასს?! ასეც ხდება. იქნება, ერთი ენა მოასწრო, მაგრამ შენი ტოლი კი იმავე დროს მესამეს სწავლობს, რადგან 2 ენა მან სემინარიაში ისწავლა.

დიადაც დამაფიქრებელია ეს გარემოება ჯ ჩვენი სამღვდელოებაც ვალდებულია მაზედ დაფიქრდეს. სამღვდელოებამ, ჩვენის აზრით, ეს საკითხი ერთ-ერთს კრებაზედ უნდა აღძრას და დააყენოს. ეს მოვლენა წარმოსდგა ზოგიერთი უკეთური ვაჟ-ბატონების წყალობით. წარადგინეს, რომ ქართველებს ფილოსოფიის სწავლის ნიჭი არა აქვსთო, განყენებელს იდეებს ვერ ითვისებენო, მაღალი მატერიები მათი საქმე არ არისო, ფეული ტყვილათ რათ დავხარჯოთ, მასწავლებელი გაგვიცდებაო!!! ქართველებს არ უყვართ ახალი ენები, რადგან კონსერვატორები არიანო, «რუტინას» მისდევენ, პროგრესის არა ესმისთ რა და არც ელტვიანო! სთქვეს და რამოდენიმე საგანს წითელი ყარანდაში გაუსვეს. მას აქეთ, როგორც რუსები იტყვიან, ამ საგნების ни слуху, ни духу! ჩვენმა სამღვდელოებამ რომ მთავრობას ასეთი მდგომარეობა საქმისა განუმარტოს და სურვილიც განაცხადოს მისი შეცვლისა, ყოვლად დაუჯერებელია, რომ ეს თხოვნა შეწუნარებული არ იქნეს და ჩვენი სემინარია სხვებთან არ გასწორდეს. აკადემიებში გაკვირვებულნი არიან, თუ რით აიხსნება ეს მოვლენა, რისგან არის, რომ მხოლოდ ამ ერთს სემინარიაში არ გადიან სრულიად პროგრამმას ჯ სტუდენტებს სრულებით მოუმზადებლად აგზავნიან აკადემიაშიო? იმედია, რომ ამ საკითხს აღძრავენ ან აკადემიები ჯ ან სემინარიის მართებლობა. მაგრამ, ვგონებ, არც ჩვენი სამღვდელოება უნდა იყოს ჯერ ისე დაძაბუნებული და მიძინებული, რომ მან ამ საგნის მნიშვნელობა ვერ წარმოიდგინოს და მოკლე დროში ამ საკითხს ჯეროვანი პასუხი ვერ მისცეს.

მ. ტაბაკინელი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ქურნალ „მწყემსი“-ს მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ალისუბნის საეკლესიო-სამრევლო სკოლა, დაარსებული ბ. ნ. ჩიკვაიძისაგან, იქმნა ნაკურთხი ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისაგან 1891 წელს, სექტემბრის 1, ხოლო სწავლა დაიწყო ამ სკოლაში იმავე თვის 15-დგან. ამ სკოლაში დღეს სწავლობს 180 უმაწვილი. თუ რა სიყვარული მოიპოვა ამ სკოლამ საზოგადოებაში, ამას ცხადად გვიმტკიცებს მოწაფეთა ზემო მოყვანილი რიცხვი, რომელიც თითქმის დღითი-დღე მატულობს. მე არა მსურს, რომ თქვენ და თქვენი გაზეთის მკითხველებს თავი შევაწყინო ჩემი და ჩემის ამხანაკის ბ. ფ. დეკანოსიძის მეცადინეობის ქებით, რადგან, თუ რამეს დმერთი შეგვაძლებინებს, ჩვენი შრომის ნაყოფი სადაც უნდა იქნეს, რაც უნდა ვინმემ ხელი დააფაროს, ჭეშმარიტება მაინც არ დაიმალება და ოდესმე თავს იჩენს სიტყვისამებრ მაცხოვრისა: „არა არს საიდუმლო, რომელი არ-ასადა გამომცხადდა იგი“. მაგრამ ზოგიერთი შემთხვევა, რომელიც არავისაგან მოსაწონი არ არის, განუკიცხავი არ უნდა დარჩეს. ამიტომ იძულებული ვარ ორიოდე სიტყვა

ვსთქვა ჩვენს ასპარეზზედ მოდვაწე პირთა საყურადღებოდ. წარსულს წელში, სოფ. მუხურაში (შორაპ. მაზრაშია) ეკლესიის კურთხევის დროს, ერთმა იქაურმა სამრევლო სკოლის მასწავლებელმა, ყოვლად სამღვდელო გაბრიელს წარუდგინა თავის მოწაფეებთან ერთად ერთი ჩვენი მოწაფეთაგანი, გვარად ქერციკიძე, რომელმაც თავისი სწავლით დაიმსახურა ყურადღება მათი მეუფებისა, რომელმაც დაასაჩუქრა ხსენებული მოწაფე—ჯვარით. ეგონებ დიდი დამტკიცება და ლაპარაკი არ არის საჭირო შესახებ იმისა, რომ ეკლესიას და სკოლას ურთიერთ შორის უნდა ჰქონდეს მტკიცე და განუწყვეტელი კავშირი და მუდამ ერთმანეთს უნდა ეხმარებოდნენ სწავლა-განათლების საქმეში, რასაც ცხადათ გვიმტკიცებს ჩვენი ძველი დროის საეკლესიო ისტორია, რომელიც ნათლად გვიხატავს, რომ სკოლები პირველიდგანვე შენდებოდნენ ეკლესიების და მონასტრების ახლო და მათში თითქმის ყველა წოდების პირნი, შეძლებისა დაგვარად იღებდნენ სწავლა-განათლებას და ბოლოს ხდებოდნენ საზოგადო კეთილ-დღეობის მოღვაწენი. ესეთი შეურყეველი კავშირი ზემო აღნიშნულ დაწესებულებათა შორის უსაჭიროეს საგნად უნდა მიგვაჩნდეს დღესაც ყველას და ყველგან; მოწაფენი რასაც სკოლაში შეიძენენ, იგი მათ თავიანთი მასწავლებლების წინამძღოლობით უნდა განამტკიცონ პრაქტიკულად ტაძარში და შეითვისონ შიშითა ღვთისათა და სარწმუნოებით. ამითი მოწაფენი განვითარდებიან, წახალისდებიან სწავლაზედ, აღეძვრის მათ სიყვარული და კრძალვა ღვთისადმი, ხოლო სხვა ყრმათა, მშობელთა და მსმენელთა აღუძრვენ გულში სურვილს სწავლისადმი. მაგრამ, საუბედურიოდ, ყოველივე კეთილს ბევრი მახე ხვდება წინ. ჩვენს პატარა საზოგადოებაში თავს იჩენენ თავის უმეცრებით კეთილის წინააღმდეგნი—ესენი არიან ზოგიერთთა ეკლესიის კრებულთაგანი, რომელნიც, მიუხედავად იმისა, რომ იგინი, ერთის მხრით არიან დავალებულნი ადგილობითი ბლადღ. მ. ლ. ჭიპაშვილისაგან და მეორეს მხრით მათთვის ნათხოვნი აქვს ჩვენი სკოლის მზრუნველს ბ. ჩიკვაიძეს, რომ მათ (ეკლესიის კრებულმა) ნება მისცონ ჩვენ მიერ დანიშნულს, რიგ-რიგობით, ჩვენი სკოლის საუკეთესო მოწაფეებს, რომ მათ სალმრთო მსახურების დროს ტაძარში წააკითხვონ სიმღოლო სარწმუნოება, საუფლო და სხვა ლოცვები და აგრეთვე ყოვლად სამღვდელო იმერ. ეპისკოპ. გაბრიელის ქადაგებიდგან დღის შესაფერი სიტყვა, იგინი არ აძლევენ ნებას, არა თუ მისთვის, რომ მოწაფეები ცუდად წაიკითხავენ, არამედ რაღაცა ჩვენგან გაუგებარის მიზეზისა გამო და ამითი უკარგავენ ყმაწვილებს სასოებას და სიყვარულს ღვთისადმი *).

ალ. სამ.-სკოლ. მასწ. მ. ბუაჩიძე.

---

*) ყველამ კარგად იცის, რომ პირველი და უმთავრესი მოვალეობა სამრევლო სკოლის მასწავლებლისა ის არის, რომ მან ყოველ კვირა-უქმ დღეებში შეაგროვოს თავის მოწაფეები და წაიყვანოს ეკლესიაში წირვის მოსასმენად. ამას არც ჩვენ ვჰყოფთ უარს და შეძლებისა და გვარად გასრულებთ. მაგრამ ჩვენს სკოლაში ყოველთვის ამის შესრულება შეუძლებელი თუ არაა, ძნელია მაინც და აი რისთვის; სკოლაში სწავლობს 180 ყმაწვილი, რომელიც ძლიერ შორეული საზოგადოებიდგან არიან. შაბათობით შინ წასვლას თხოულობენ ხოლმე. რა ვქნათ, არ გაუშვათ, არ შეიძლება, რადგან მათ სჭირდებათ სასმელ-საჭმელის მოტანა. ადგილობითი ეკლესიების კრებულნი ჩვენს მოწაფეებს ნებას არ აძლევენ, რომ იგინი კვირას მღვდლებს მოეხმარონ წირვის დროს. გულდაწყვეტილნი მოწაფეები მოდიან და შემოგვჩივიან: „ბ. ტყუილა მოვემზადე, ამა და ამ მეადავითნემ წიგნი წამართვა და არ წამაკითხვაო“...

მთელი ივერიის ⁂ აფსაზეთის მეფე დავით III აღმაშენებელი.

(დასასრული *)

მეფე დავითი მეტად მოწყალე და გულშემატკივარი იყო. ის მუდამ მზად იყო შემწეობა აღმოეჩინა გაჭირვებულთათვის. მეფე თავის ხელით ურიგებდა სამოწყალოს ყველას და არ შედიოდა იმის განხილვაში, თუ ვინ რისი მექონე იყო. სამოწყალოის ფარულად დარიგებაში შეელოდა მეფე დავითს მისი მოძღვარი. ერთხელ მეფე დავითმა მისცა თურმე თავის მასწავლებელს, ქათალიკოსს იოანნეს, ღარიბების დასარიგებლად 24,000 დრაქმა. მეფე მუდამ ღარიბებზე ზრუნავდა და ცდილობდა გაეადვილებინა მათთვის ცხოვრება. ამ მიზნით მეფემ თავის ვრცელ სამეფოში მრავალს ადგილს დაარსა თავის ხარჯით საავადმყოფოები, თავშესაფარი სახლები და სკოლები გაჭირვებულთათვის. როცა დავითი სახელმწიფო საქმეებს რჩებოდა, ნახულობდა ავადმყოფებს და ღარიბებს, თავის ხელით ემსახურებოდა და აძლევდა მათ ნუგეშს. ერთი სიტყვით დავითი ყველას მამობრივი სიყვარულით ეკიდებოდა. დავითი ამავე დროს ცდილობდა გაეუმჯობესებია სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობა და აღემაღლებია სამღვდელოება ხალხის თვალში. ამ მიზნით მეფემ ყველა მონასტრები და საეკლესიო მოსამსახურენი განათავისუფლა ყოველივე სახელმწიფო გადასახადისაგან; მონასტრებს და ეკლესიებს შესწირა დიდ-ძალი ადგილ-მამულები კრებულის სასარგებლოდ. ასეთ მზრუნველობას იჩენდა დავითი არა მარტო საქართველოის მონასტრების, ეკლესიების და მათი მოსამსახურეების შესახებ, არამედ მეფემ ბევრი ფული და ადგილები შესწირა საბერძნეთის წმიდა ადგილების სასარგებლოდ. დიდძალ საჩუქრებს გზავნიდა ხოლმე მეფე იერუსალიმში, კიპრის და სირიის მონასტრებში. მეფე დავითმა გაამდიდრა და გაამშვენა შავი მთის მონასტერი სირიაში. ამავე დროს დავითი ბევრს ზრუნავდა უფლის სასაფლაოზე. ყოველი მგზავრი, რომელიც კი ცოტაოდნად დაეკვირდება უფლის სასაფლაოს უზარ-მაზარ შენობას, ადვილად შენიშნავს, თუ რამდენი უშრომიათ ამ წმიდა ადგილის სასარგებლოდ ჩვენი საქართველოის მეფეთ: დავითს, თამარს და სხვათა. მეფე დავითი მუდამ ზრუნავდა იერუსალიმის მონასტრებზე. დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის დავითს აგრეთვე სინას მთის მონასტრისადმი. თუმცა ეს ადგილი ძალიან შორს იყო საქართველოდამ და გზაცსაშიში და ცუდი, მაგრამ დავითი ვერც ერთმა ამაებმა ვერ შეაშინა. მან ამ მთაზე აამენა ეკლესია წმ. მოწამის ეკატირინეს სახელობაზედ. ეს ეკლესია დღესაც არსებობს ამ მთაზე. ამ მონასტრებში და ტაძრებში მეფე აყენებდა ქართველ ბერებს; მონასტრებს და ტაძრებს უგზავნიდა საეკლესიო წიგნებს, ხოლო ეკლესიების და მონასტრების მოსამსახურეთ აძლევდა ყოველთვის წლიურ სარჩოს. მეფე ზრუნავდა არა მარტო ეკლესიაზე; ის ამავე დროს ფიქრობდა თავის ვრცელი სამეფოის კეთილ-განწყობილებაზე: აკეთებდა გზებს, რომლის შემწეობით უადვილებდა ერთმანეთში მისვლა-მოსვლას თავის სახელმწიფოის დაშორებულ მაზრების მცხოვრებთ; ანახლებდა ხიდებს, რომლებიც გაფუჭებულნი იყვნენ მტრებისაგან.

მეფემ დააყენა მსაჯულები და მოსამსახურენი. უწინდელს დროში ვისაც რაიმე საქმე ანუ საჩივარი ჰქონდა მეფესთან, მეფეს გზაზე გავლის დროს უნდა შესულიყო მაღლა ხეზედ, ანუ გორაზე, რომ ის დაენახა მას. ამ კაცს იქიდგან უნდა ენიშნებია, რომ მეფესთან აქვს საქმე. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღებდენ მის თხოვნას. მეფემ შენიშნა, რომ ბევრს მის ქვეშევრდომთ სურსთ მეფის ნახვა, მაგრამ ზოგიერთი მიზეზისა გამო არ შეუძლიათ მასთან მისვლა; ამის გამო მეფემ დააყენა განსაკუთრებითი მოსამსახურენი, რომელთაც უნდა მიეღოთ თხოვნები და გაერჩიათ საქმე; დააყენა აგრეთვე მსაჯულები, რომელთაც ეალად დაუდგინა ეხელმძღვანელათ საქმეების განხილვის დროს როგორც ეკლესიური, ისე სამოქალაქო კანონებით და იმ ქვეყნის ჩვეულებით, სადაც ინიშნებოდენ ხოლმე ისინი მსაჯულებად, რომ სახელმწიფოში დაარსებულიყო წესიერება და მყუდროება და ამაღლებულიყო ზნეობა, მეფემ დააყენა განსაკუთრებითი მოსამსახურენი, რომელთაც უნდა მოეხსენებიათ ხოლმე მეფისათვის მის ქვეშევრდომთა ყოფაქცევა. ქვეშევრდომნიც, მეფის სიყვარულობისა და პატივისცემისა გამო, მორიდებულნი იყვ-

*) იხ. «მწყემსი»-ს № 1, 1893 წ.

ნენ უწესოებას იმ მეფის წინააღმდეგ, რომელმაც განათავისუფლა და გაანათლა მთელი სამეფო. დავითის მეფობის დროს მისი ქვეშევრდომნი მოსვენებულნი იყვნენ როგორც შინაური, ისე გარეშე მტრებისაგან. მეფე გარდაიცვალა 1125 წელში, 56 წლისა შობიდგან. სულ იმეფა 36 წ.

როცა მეფე დავითს მოუახლოვდა აღსასრულის ჟამი, ის აღიჭურვა სიხარულით და შემდეგი ანდერძი დასწერა: «გიბრძანებსთ და მოგაგონებსთ მეფე მეფეთა დავითი, თავის სიკვდილის დღეს და მის ამ ქვეყნად განსვლის დროს, უღირსი და მორჩილი ღვთის მლოცველი მამის ბერ-მონაზონის არსენის პირით თქვენ ყველა ერისთავებს და მისი სამეფოის ყველა შესანიშნავ ქათალიკოსებს, ეპისკოპოსებს და ყველა მათ, რომელნიც იყავით ჩემს მოწყალებასა ქვეშე, შემდეგს: პატარაობიდგანვე მიყვარდა სიცოცხლე, დიდება და მთავრობა და არას დროს არ წარმომიდგენია ის დღე, რომელიც მე დღეს საუკუნოდ მისტუმრებს სამარეში; მენანებოდა ამ ამაო და წუთიერი ცხოვრების თავის დანებება მანობამდე, სანამ თვით ამ ცხოვრებამ არ მიმატოვა და აღსებული მრავალი ცოდვებით და მწუხარებით არ წარმადგინა იმ მსაჯულის წინაშე, რომელმაც მრავალი მოწყალება მომანიჭა მე ამ ქვეყანაზე. პირველად მან მომცა მე ძე დიმიტრი, რომელიც სიბრძნით, ქველმოქმედებით და ვაჟ-კაცობით უკეთესია ჩემზე, და ჭეშმარიტად ამისთანა მეფე არს ჯილდო უფლისა მართალთათვის, დაშთენილთა ამა სოფლად. მივდიავარ წინაშე მსაჯულისა, რომლისაგან მივიღე სამეფო, მივდიავარ ნუგეშ-ცემული, რომ ძე ჩემი ყოველთვის ჩემი სურვილისამებრ იქცეოდა. დიდი ხანია მსურდა მოსვენება ამა ქვეყნის ზრუნვათაგან, მაგრამ ეცდილობდი სამეფოის დღე-კეთილობაზე, რაიცა უწყის უფალმა, თვით მე და ჩემმა მოძღვარმა. უცებ დაეუძლურდი, მე მეგონა დიდხანს ვიცოცხლებდი, მაგრამ მოვსტყუვდი; მეც როგორც ჩემს მამას წილად მხვდა მოკლე ცხოვრება და რომელიც მე არ მომწონდა. დღეს, ღვთის განგებით, მივდივარ მე, ხოლო მეფედ მოიწოდების ძე ჩემი, რომელმაც უნდა მართოს ის, რაც მხვდა მე და რაც შემიძენია ჩემის და თქვენის შრომით; ე. ი. ნიკოპსიიდგან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდამ სირიამდე და არგანამდე, მე ჩავაბარე დიმიტრის დანარჩენი ჩემი შვილები და დედოფალი და ესთხოვე, რომ თაკისი უმცროსი ძმა კონსტანტინე აღზარდოს და, თუ ღვთის მადლით, ნიჭიერი გამოდგეს, თავის შემდეგ დააყენოს მეფედ, ხოლო დებს პატივსა სცემდეს, როგორც ჩემს საყვარელს შვილებს. ყოველივე შევასრულე მე პატიოსანი და ცხოველ-მყოფელის ჯვარის ძალით და იმასვე ვაბარებ ჩემს სამეფო აბჯარს დს საუნჯეს; ფულები მიეცეს უმცროსს, ხოლო ჩემს ძვირფასს ქვებს და მარგალიტებს ვსწირავ ხახულასა ღვთის-მშობლის ხატსა. ოქროს მანეთები და ეოტანიატი ატენის საუნჯისა, რომელიც მე შევიძინე ჩემის სისხლით, მიეცეს მეფეს დიმიტრის და თუ ის არ ისურვებს, მაშინ ყველა ეს ეები მიეცეს ჩემს მოძღვარს, რომელსაც ვსთხოვ ღვთის სახელით, რომ ნახევარი ამ საუნჯისა მან მოახმაროს იმ მონასტრებს, რომელთაც მე ვაწყენინე, რათა ამ მონასტრებში მოსამსახურეთ ილოცონ ჩემთვის. მე მრჩება კიდევ მოუთავებელი მონასტერი, საკაც უნდა განისვენოს ჩემმა და ჩემი შვილების ძვლებმა, და ამის ჯავრი თან მიმყვება. ეხლა ჩემმა ძემ, მეფე დიმიტრიმ მოათავოს ის მონასტერი თავის და მისი შთამომავლობის საუკუნოდ მოსახსენებლად. რაც გამიცია, იმას ჩემი შვილი ნუ შეეხება; ის დასახლებული და დაუსახლებელი ადგილები, რომელნიც მე თვითონ შევიძინე, მეფე დიმიტრის შეუძლია უბოძოს ღრამატებით, ვისაც სურს და როგორც ისურვებენ მ. არსენი და ქათალიკოსი».

როცა დავითმა გაათავა ანდერძი, ჩაბარა ის თავის მოძღვარს, ცოტა შეისვენა, შემდეგ იგრძნო სიკვდილის მოახლოვება, მიიღო წმ. საიდუმლო და ღვთის დიდებაში განუტევა სული თვისი. მეფე დავითს დარჩა ოთხი ვაჟი შვილი: დიმიტრი, მემკვიდრე დავითისა, ვახტანგი, გიორგი, კონსტანტინე და სამი ქალი—ეკატერინე, იგივე ირინე შემდეგში საბერძნეთის დედოფალი და თამარი, მეუღლე აქსარტან შირვანელი პრინცისა და რუსუდანი. მეფე დავითის გარდაცვალებამ შეაწუხა მთელი საქართველო. შავი ზღვიდგან მოკიდებული კასპიის ზღვამდე. ქართველებმა დავითში დაკარგეს მამა, მასწავლებელი, მფარველი და კეთილის-მყოფელი. დავითის გვამი მისმა მოძღვარმა არსენიმ მთელი სამღვდელოების თანადასწრებით დიდის პატივის-ცემით მიასვენეს გელათის მონასტერში და დაასაფლავეს უმთავრესი ტაძრის შესავალ ეკლესიაში სამხრეთის მხრით *).

*) დღესაც ამ კარის შესავალ ეკლესიაში სძევს კლდის ქვის ერთი დიდი თლილი ფიცარი, ნახევრობით გაცვეთილი, რომელზედაც ხუცური ასოებით არის დაწერილი შემდეგი სიტყვები ფსალმუნთ მგალობლისა: „ესე არს განსახვენებელი ჩემი უკუნისამდე, აქ დავემკვიდრო (ეს მშვენიერი ლექსი უმეტესად მოსწონდათ ქართველებს). ამ ლექსის გარდა ამ ქვის ფიცარზე კიდევ სხვა წარწერაც ყოფილა, მაგრამ იგი დროთა განმავლობისა გამო წაშლილა, მაგრამ ხალხში ეს ლექსი დღესაც არის დაცული.

საქართველოს ეკკლესიამ მეფე დავითი მრავალ-ქველმოქმედებისათვის და წმიდა ცხოვრებისათვის შერიცხა იერარიის წმიდანთა შორის და დააწესა დღესასწაული ოც-და-ექვს იანვარს მოსახსენებლად დიდისა, სახელოვანისა და წმიდისა მამისა ჩვენისა მეფე დავითისა *) თვისი შუამდგომელს და მფარველის უფ. ჩვენი იესო ქრისტეს ტახტის წინაშე.

---

*) წმიდა და ღვთის მოყვარე მეფე დავითი, როგორც მას აგვიწერს მისი მოძღვარი არსენი თავის ქებითი სიტყვაში დავითისადმი, ყოფილა მაღალი და მოსრული კაცი; ყოფილა ტანმრთელი აგებულობისა. მეფე დავითის მოსრულობას გვიმტკიცებენ ზოგიერთი მისი ნიგოები, რომელნიც დღესაც ინახებიან გელათის ტაძრის სალარაში. ასეთ ნივთებს ეკუთვნიან: დავითის ნაქონი ბეჭედი, რომელშიაც თავისუფლად შედის კაცის ხელის სამი თითი, მეფის ნაქონი ქოშები, რომელნიც მოქარგულნი არიან ოქროთი და მარგალიტებით; ეს ქოშები ორჯერ მეტია ჩვეულებრივ ქოშებზე და მეფის ქუდი. ამასთან დავითი ყოფილა ძალიან ლამაზი კაცი, თვალები ჰქონია დიდი, შავი და აზრიანი, წარბები სწორი და სქელი, რომელნიც ამშვენებდენ დავითის მაღალს შუბლსა, ცხვირი სწორე და მუდამ მღიმარე ტუჩები, მოკლე და შავი წვერი და შავი თმა ამშვენებდენ თურმე დავითის ზომიერს თავს. მეფე დავითს თავზე ახურავს ოქროსაგან გაკეთებული და ძვირფასი ქვებით მორთული დაბალი გვირგვინი; ეს გვირგვინი ძალიან წაგავს ბიზანტიის იმპერატორების გვირგვინებს. დავითის გვირგვინს იქით-აქეთ ჰკიდია მარგალიტების დასაკიდი; დავითს ტანზე აცვია მეფის ტანთ-საცმელი იის ფერისა; ამ ტანთ-საცმელზე მოქარგულია ოქროს სახეები, რომლებიც მორთულნი არიან ძვირფასი ქვებით. ეს ტანთ-საცმელი ჰგავს მღვდელ-მთავრის სტიხარს, მხოლოდ სახელოები აქვს მოკლე. სახელოებზე არის თათმანები, რომელნიც მოქარგულნი არიან ოქროთი, მარგალიტებით და სხვა ძვირფასი ქვებით სამაჯურების მსგავსად; მაჯას ზემოდ სახელოებზე შემოყოლებულია ოქროს ქსოვილი, რომელიც მორთულია ძვირფასი ქვებით და მოდიდო მარგალიტებით. საყელოს გარშემო შემოყოლებულია ოქროს ქსოვილი ბეჭებამდის და იქით-აქეთ არის გადაშვერილი. თავები სამღვდელ-მთავრო ომოფორის მსგავსად. გადაშვერილი თავები ბოლოზე შეერთებული არიან მსგავსივე ნაქარგით, რომელიც მორთულია მრავალი ძვირფასი ქვებით და მოდიდო მარგალიტებით; სტიხარზე შემორტყმული აქვს ვიწრო და ძვირფასი ოქროს სარტყელი. მარჯვენა ხელში უკავია გელათის ტაძარი, ხოლო მარცხენაში—გრაგნილი; ფეხებზე აცვია ქოშები, რომელთაც ზემო პირი აქვსთ გაკეთებული წითელი ხავერდისაგან; ეს ხავერდი ძვირფასად არის მოქარგული; ქოშებს წვეროები ცოტა ზემოდ აქვსთ აშვერილი, პერსიელების ქოშების მსგავსად, სდგას მდიდარს ოქროს ხალიჩაზე. ამ სახით დავითი დახატულია საქართველოის ძველი ეკკლესიების კედლებზე, რომელნიც აშენებულან დავითის დროს და გელათის ტაძრის ჩრდილოეთის კედელზე. მსგავსივე გამოხატულება მეფე დავითისა არის ქვათა-ხევის საკრებულო ტაძრის კედელზედაც.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ყველას მოეხსენება, თუ რა დიდი ეპარქია არის ხერსონის ეპარქია ⁄ რა მდიდარი ეკკლესიები და სამღვდელოებაა იქ. ამ ეპარქიაში თითქმის 1500 მღვდელი იქნება. მაგრამ სამღვდელოებას ჯერეთ კიდევ ვერ გადაუწყვეტია ემირიტურის დაარსება. «ხერსონის ეპარქიალური უწყების» უკანასკნელ №-ში გადმოუბეჭდავსთ პოლტავის სამღვდელოების ემირიტურის კასის წესდება და მღვდელ-მთავარი წინადადებას აძლევს მისადმი რწმუნებულ სამღვდელოებას, გასინჯონ ეს წესდება და, თუ საჭიროებლად დაინახონ, მიიღონ იგი. მართლადაც რომ პოლტავის ეპარქიის სამღვდელოების ემირიტურის წესდება დიდის მოფიქრებით და დიდის გამოკვლევით არის შედგენილი. კასაში შესატანი ფული თითო პირისაგან არის 5 მან. და ნახევარი, მაგრამ რადგან კასაში ყველა იღებს მონაწილეობას, ფულის შემტანი პირების რიცხვი ადის ათას-რვაას წყვრამდე და წელიწადში 10,000 მან. იკრიბება.

***

მისი ყოვლად უსამღვდელოესობის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის **სიტყვანი ⁄ მოძღვრებანი** რუსულ ენაზედ მათი მეუფების სურათით მარტში გამოვა **საბეჭდავიდამ.**

***

ჩვენ მივიღეთ ახლად გამოცემული პატარა წიგნი **თამარ მეფე,** შედგენილი ბ. დ. კარიჭაშვილისაგან. წიგნი სუფთად არის გამოცემული, ღირს 15 კ. ამ წიგნში საფუძვლიანად არის გამოკვლეული, თუ რა იყო მიზეზი თამარ მეფის სიკვდილის შემდეგ საქართველოს ძლიერი სამეფოის ისე მალე დაძაბუნებისა.

***

თფილისის **სასულიერო** სემინ. ინსპექტორი მღვდელ-მონაზონი ისიდორე გარდაყვანილ იქმნა პეტერბ. აკადემიის ინსპექტორად. როგორც ისმის, ამავე სემინარიის **რექტორი** მ. არქიმანდრიტი ტიხონი დაუნიშნავსთ უფროს ცენზორად პეტერბურღის **სასულ.** საცენზორო კომიტეტში.

***

ხმები ისმის, **რომ** თფილ. სემინარიაში **გარ-**დმოყვანილი იქნება **რექტორად** სამარის **სასულ**ერო სემინარიის **რექტ**ორი.

სწავლა კეთილ-ზნეობასა და სარწმუნოებაზედ.

მოკლე სიტყვა,

მაზიარებელთადმი.

შიშითა ღვთისათა და სარწმუნოებით მოვედით.

სულიერნო შვილნო და საყვარელნო მოწაფენო! ღვთის შეწევნით თქვენ ყველანი უკვე მომზადებულნი ხართ წმინდა საიდუმლო ზიარების მისაღებად. მოვედით შიშით და ძრწოლით, მოვედით მტკიცე სარწმუნოებით, რამეთუ ესე არს თვით უხრწნელი ხორცი ქრისტესი და ესე არს თვით პატიოსანი სისხლი მისი. არა პური და ღვინო გეძლევისთ თქვენ ამ ჟამად საჭმელად, არამედ ნამდვილი ხორცი და სისხლი ქრისტესი, რომელიც არის დამწველი ცეცხლი უღირსთა. იცოდეთ, რომ ჩვენ ყოველნი ვართ უღირსნი და უძლურნი წინაშე ღვთისა, გარნა ვხდებით ღირსნი წ. საიდუმლო ზიარებისა განუსაზღვრელითა და აღუოაცხელითა მოწყალებითა ღვთისათა. ვინაიდგან წმიდა ზიარება ცეცხლი არს უღირსთა შემწველი, ამისათვის ნურავინ იკადრებთ, ძმანო, კადნიერებით მისწრაფებას წმ. ბარძიმისაკენ, რათა არა სასჯელად, გინა დასასჯელად გექმნას თქვენ საიდუმლო ესე. ღღეს აქ ამ ქრისტეს სერობაზე, ჩვენ ყოველნი უნდა ვიყენეთ სიმდაბლით და გულწრფელის მონანებით. თაყვანი ვსცეთ წმინდასა საიდუმლოსა, ე-თარცა თვით ღმერთსა; უკანასკნელად შეესტიროთ ცოდვათა მოტევებისათვის და კრძალვით შეეხნეთ წმ. ბარძიმსა, ვითარცა იესო ქრისტეს გვერდსა, საიდამაც გარდმოხდა სისხლი და წყალი. ზიარების შემდეგ ვყოთ თაყვანისცემა წინაშე მაცხოვრის ხატისა და შეესწირთთ მას მადლობა დიდისა მისისა მოწყალებისათვის. ამიერიდგან იყოს განუშორებელი ჩვენის გულიდამ ის აზრი, რომ ჩვენთანა არს ქრისტე: მას ვილოცავდეთ, მას ვაჯიდებდეთ და მასთან გექონდეს საუბარი, ვითარცა ღვთის მიმლებთ. ეს ღღე შერაცხეთ ერთად ერთ თქვენს დიდებად, ერთად ერთ თქვენს ბედნიერებად და სასიხარულო ღღესასწაულად. მიხვიდეთ რა თავიანთ სახლებში, ეცადეთ, ძმანო, არ შებღალოთ თქვენ შორის დამკვიდრებული სიწმინდე. ღღეს ღვთის მიმღებთ, საღამოზე არ განაგდოთ იგი— თქვენის უძღებებით, უზომო სმით და უმართებულო ლაპარაკით, ვინაიდგან ენა და პირი თქვენი განსწმინდა იესოს სისხლმა და ხორცმა. ერიდეთ ყოველგვარ საცდურობანებას, რათა არა დაჰკარგოთ ნაყოფი წმინდა ზიარებისა. იქონიეთ მსჯელობა კეთილ საქმეებზე: წარმოიდგენდეთ დიდსა მოწყალებასა ღვთისასა და უღირსებასა თქვენსა, ღღეანდელი თქვენ სიხარულის მონაწილედ გახადეთ უბადრუკნიც: ეცით საზრდელი მშიერთა და ხელი შემწეობისა მიაწოდეთ გაჭირებულთა ქვრივთა და ობოლთა. აჰა მოვალს თქვენდა ყოვლის მპყრობელი უფალი თქვენი დამბადებელი და მაცხოვარი თავისი მადლით: თქვენ განსაკურნებლად, განსაძლიერებლად და განსანათლებლად. ეცით თაყვანი საშინელთა ქრისტეს საიდუმლოთა და სთქვით:

«მრწამს უფალო, და აღვიარებ, რამეთუ შენ ხარ ჭეშმარიტად ქრისტე ძე ღვთისა ცხოველისა, მოსრული სოფლად ცოდვილთა ცხოვნებად რომელთაგან პირველი მე ვარ.

კვალად მრწამს, რამეთუ ესე არს თვით უხრწნელი ხორცი შენი, და ესე არს თვით პატიოსანი სისხლი შენი. შენ უკვე გეეედრები, შეშიწყალე მე, შემინდეე შეცოდებანი ჩემნი, ნებსითნი, და უნებლიეთნი, სიტყვით, და საქმით, ცნობით და უმეცრებით. და ღირს მყავ მე დაუსჯელად ზიარებად უხრწნელთა საიდუმლოთა შენთა, მოსატევებელად ცოდვათა და ცხოვრებად საუკუნოდ. ამინ».

მღვ. მიხეილ გაგაშელოვი.

რედაქციის პასუხი.

მღვდ. ს. თკალ—ძეს. სამწუხაროდ მარტო რედაქციის აქვს უკვე №-ბი «მწყემსი» ს ბ კასასუიდლად არ მოიშოვება. კასასუიდლად იმყოფება მარტო რაოდენიმე წლის სრული კომპლექტი სახელდობ: 1887, 1888, 1889,

1890, 1891 და 1892 წლებისა. თითოეული წლის გამოცემა მეიდგელთ დაკომბათ ედით 3 მან. და უედოთ 2 მ. 50 კ. რედაქციაოკვის სარჯით გაუგზავნის მსურველთ.

ბაკურ. სოფ. გულ-რს. თქვენი წერილი არ იბეჭდება. „საქმეს წაახდენს რეგვენი, ფათერაკს დაბრალებსო», ნათქვამია, ასევ ზოგიერთი მოუმზადებელი მასწავლებლების საქმეც. ეედაგოგია არა აქვსთ შესწავლილი, თავისი ზარმაცობით და უვიცობით საქმეს გაფუჭებენ და ბოლოს მღვდლებს დაბრალებენ სკოლის საქმის უკუღმა მსვლელობას. იმ თქვენგან ნაქებ მასწავლებელს ალბად მღვდლობა სურდა ეშოვა. იშოვა? სკოლაც მიტომ დაიხურა!..

ლარ. მღ. ს. ჯუ—ძეს. ძლიერ კეთილი აზრი მოგსვლიათ. წიგნთ-საცავების დაარსება ეკლესიებთან საწარად მოსაწონი საქმეა, მაგრამ გოხოვთ, ჩვენ ნუ გაგიხვდით მოვალეად, რომ ჩვენი გამოცემანი მუქთად გამოგგზავნოთ, ან ნისიათ. წიგნები მოიპოვეთ შეძლებისადაგვარად. არც თქვენ და არც თქვენი ეკლესია ისე ღარიბი არა სართ, რომ ცოტა წიგნების გამოსაწერი ფულები ვერ მოასხერხოთ.

რაჭას. მღვ. მ. გ—ვს. ძლიერ სასიამოვნო იქნებოდა, რომ თქვენი მოკლე, მაგრამ ფრიად მოსაწონი, სიტყვა ადრე მიგვეღო და იანვრის თვის ნომერში დაგვებეჭდა

ს. უსუთი. მრეკელ—ს. 12 მოტიქულში 1 იუდა გამცემელი აღმოჩნდა. წყლის ამოსადები ჭურჭელი რომ არ ვარგოდეს, იმით წყლის უსარგებლობას ვერავინ დაამტკიცებს. თუ ისეთი საქციელის არის ის, კიზედაც თქვენ იწერებით, მისთვის მოსალოდნელი სასჯელიც კმარა რაოდენ საქმოსი, ისე საიქმოსი. არ იფიქრათ, რომ მაგისთანა კაცი სასჯელს ასცდეს, კიდეც რომ ხმაც არავინ გასცეს...

ბ ა რ თ ე ნ ს. თქვენი ლექსი არ იბეჭდება.

მღვდ. ი. გრიგოლიას. თქვენ გაზეთს იბარებთ და ფულის შემოტანის შესახებ სრულებით არაფერს არ იწერებით. ძველი წლების ხელმოსაწერი ფულებიც დაიკარგა თქვენზედ დაეხლა რაოდენრა მოგსტუნეებით!.. მართალია, გამომძიებლობა მოუცია თქვენთვის, მაგრამ ჩვენი რედაქცია ვალდებული რადა ასულიერო გამომძიებლებს გაზეთი მუქთად უგზავნოს...

სოფლის მოძღვარს. ჩვენც ბევრი საინტერესო მასალა გვაქვს საბეჭდავი მკითხველებისათვის, ამიტომ თქვენგან გამოგზავნილი სიტყვა არ იბეჭდება.

მუკ—ს. ბ. ი. სარ—ს. რედაქციის გულითად მადლობას გწერავსთ თქვენი ქართველური, გულითადი და ძმური თანაგრძნობისათვის. ჭეშმარიტად მოსარული ვართ, რომ მადეთ, თქვენს კუთხეში, კიდეკ მოიშებიან ქართველები....

ახს—ში. მ. ა. ქ—ძეს. თქვენი სიტყვა კარგია, მაგრამ საზოგადო მნიშვნელობა არა აქვს და ამისთვის ვერ ვბეჭდავთ.

რაჭა. მ. ა. შარაბიძეს. განა არ შეიძლება ისეც მოხდეს, როგორც თქვენ ფიქრობთ, მაგრამ ეს ახალი წესი შემოიდეს საქმის სარგებლობისათვის კი არა, არამედ ფულის შოვისთვის. ვეკედროთ ღმერთს, რომ უარესისაგან დაგვიფაროს...

შინაარსი: ფუტკრების დედო და თ. ილია გ. ჭავჭავაძე, გაზეთ „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემელი (დასრული).—ჩვენი ცხოვრების მატიანე.—წერილი რედაქტორთან.—მთელი ივერიის და აფხაზეთის მეფე დავით III აღმაშენებელი (დასასრული).—ახალი ამბები და შენიშვნები.—მოკლე სიტყვა, მაზიარებელთადმი.—რედაქციის პასუხი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Дозволено цензурою. Кутаисъ,* 15 *Февраля 1893 г.*

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хананових на Нѣмецкой ул.